





მეღიათეკა - მულტიფუნქციური სივრცე თემის განვითარებისათვის



*გორის რეგიონული განვითარების
გზამკვლევი*



DRIVE DEMOCRACY



მედიათეკა - მულტიფუნქციური სივრცე თემის განვითარებისათვის



გორის რეგიონული განვითარების
გზამკვლევი

DRIVE DEMOCRACY

გორი
2020

წინამდებარე დოკუმენტი - რეგიონული განვითარების გზამკვლევი, არის მოქალაქეთა ხედვის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულია პროექტის „**რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩევლთა გაძლიერება დემოკრატიისთვის**“ მონაწილეთა მიერ.

პროექტი ხორციელდება აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD) მიერ, USAID-ის ფინანსური მხარდაჭერით და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან (EPRC) თანამშრომლობით, და მიზნად ისახავს ამომრჩევლების იმდაგვარად გაძლიერებას, რომ წარმატებით მოითხოვონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკური თუ საარჩევნო პროგრამები და ისეთი პოლიტიკის განხორციელება ქვეყანაში, რომელიც შეტად პასუხობს საქართველოს მოქალაქეების რეალურ საჭიროებებს. პროექტი საქართველოს ხუთ რეგიონში: თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, იმერეთსა და აჭარაში ხორციელდება.

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალური პოზიცია ან თვალსაზრისი.





ვითარების ანალიზი	6
პრობლემის მიმოხილვა.....	8
ხედვის დოკუმენტის მიზანი	11
პრობლემის მოგვარების პრინციპები, მიმართულებები, რეკომენდაციები.....	11
შედეგების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები	16

პოლიტიკის ანალიზი

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1 ქალაქის, 105 სოფლის ტიპის დასახლება და 7 დევნილთა ჩასახლება (ბერბუკი, კარალეთი, ხურვალეთი, სკრა, შავშვები, საქაშეთი, გორი - ვერხვების დასახლება) მდებარეობს. მთლიანად მუნიციპალიტეტში 144 000 ადამიანი ცხოვრობს. აქედან 30%-ზე მეტი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში, გორშია დასახლებული.

2011 წლამდე გორის მუნიციპალიტეტში 46 ბიბლიოთეკა იყო - ქალაქ გორში 13 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა, რაიონში - 33. ამჟამად ქალაქში მხოლოდ სამი ბიბლიოთეკაა, რომელიც გორის ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის სააგენტოს ექვემდებარება. სამივე - საბიუჯეტო დაფინანსებაზეა. მათთვის თანხა გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამიდან - „მუზეუმების და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა“ გამოიყო. 2020-2023 წლებში ამ მიმართულებით ყოველწლიურად საშუალოდ, 360 000 ათასი ლარის დახარჯვა იგეგმება.

გორის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების **პრიორიტეტის დოკუმენტში 05 00** პრიორიტეტისთვის - „კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი“ განსაზღვრულია პროგრამა 05 02 „კულტურის სფეროს განვითარება“, რომლის ერთ-ერთი ქვეპროგრამაა 05 02 10 „მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა“.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5,435.0	6,334.5	6,138.1	6,226.8	6,259.4	6,302.6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,475.3	2,936.6	2,691.8	2,856.8	2,874.4	2,902.6
05 02 10	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	350.5	352.0	352.9	355.0	362.1	370.0

დოკუმენტში ასევე მოცემულია ინფორმაცია აღნიშნული ქვეპროგრამის განმახორციელებლის, ქვეპროგრამის აღწერის, მიზნის და 2020-2023 წლების სავარაუდო დაფინანსების შესახებ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში	2020-2023 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 10		352,9	1440,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება **გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 მუზეუმი** - ისტორიულ-ეთნოგრაფიული, საბრძოლო დიდების, ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი და ალექსანდრე ჭავჭავიძევილის სახლ-მუზეუმი; **3 ბიბლიოთეკა - ცენტრალური, მოზრდილთა და საბავშვო**; 1 - მწერალთა სახლი.

მუზეუმებში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 114126 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ, 3215-ია. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი შეადგენს 112148 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 383000 მოსახლე.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ეწევა სამეცნიერო-კვლევით და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, რომლის მუშაობის პრინციპია „გავუფრთხილდეი წარსულს უკეთესი მომავლისათვის“, მიზანი - დამთვალეირებლის მოზიდვა-დაინტერესება, ახალგაზრდა თაობის აღზრდა ეროვნული სულისკვეთებით და მათი სამუზეუმო საქმიანობაში ჩართვა.

ბიბლიოთეკა კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციული დაწესებულებაა, რომლის მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა სრულად და ეფექტურად გამოიყენოს თავისი ფონდები და სხვა საბიბლიოთეკო რესურსები ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. **ბიბლიოთეკების მომსახურების ძირითადი მიზანია:** მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციით და პიროვნების შემოქმედებითი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ბავშვთა და მოზარდთა საბიბლიოთეკო მომსახურება სასკოლო, დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკებით ან საჯარო ბიბლიოთეკაში სპეციალური საბავშვო განყოფილებებითა და ფონდებითაა წარმოდგენილი. არსებობს მოხუცთა და ინვალიდთა სპეციალიზებული საბიბლიოთეკო მომსახურებაც. ღონისძიებები იგეგმება წლის განმავლობაში აქტუალური თემატიკის მიხედვით და მკითხველთა მოთხოვნების გათვალისწინებით.

ადგილობრივი მწერლების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ლიტერატურული საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწერლების შემოქმედების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა შემოქმედთა კონსულტირება. ბეჭდური და ელექტრონული გამოცემების მომზადება, მთარგმნელობითი საქმიანობა. თანამედროვე სალიტერატურო ნორმების დამკვიდრების ხელშეწყობა. შემოქმედებითი, სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. ლიტერატურული კონკურსების ჩატარება, გამოფენების მოწყობა.

მიზანი - ტურისტებისა და მკითხველისთვის მიზმიდგელი გარემოს და ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი თავშეყრის კერების შექმნა.

საბიუჯეტო დაფინანსებით, არსებული მდგომარეობით, გორის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები მოქალაქეებს შემდეგ სერვისებს სთავაზობს:


- » მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურის მოძიებას (ადგილზე წაკითხვას ან სახლში გატანას)
- » პრესის გაცნობას;
- » ადგილობრივ მწერლებთან შეხვედრებზე დასწრებას;
- » ინტერნეტით და კომპიუტერით სარგებლობას;
- » წიგნის პრეზენტაციებს.

ყველაზე პოპულარული გორის ცენტრალური ბიბლიოთეკაა, რომელსაც ყოველდღიურად საშუალოდ, 25 ადამიანი სტუმრობს. უმეტესობა საპენსიო ასაკისაა და ბიბლიოთეკაში პრესის საკითხავად მიდის.


პრობლემის მიმოხილვა

ბიბლიოთეკების ამჟამინდელი დატვირთვისა და ყოველწლიურად მზარდი დაფინანსების ფონზე, დოკუმენტის ავტორთა მიერ ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 35% საერთოდ არ ყოფილა გორში მოქმედ ბიბლიოთეკებში. მათგან მხოლოდ 5% დარჩა წიგნის ადგილზე წასაკითხად, 15% - იქ გამართულ აქტივობებში ჩაერთო.

რა მიზნით სტუმრობთ ბიბლიოთეკას




გეონიათ თუ არა თანამოაზრეებთან ერთად შეკრების შესაძლებლობა მუნიციპალურ სივრცეში



ამავე გამოკითხვამ აჩვენა, რომ 115 გამოკითხულიდან მხოლოდ 15%-ს ჰქონდა თანამოაზრეებთან ერთად მუნიციპალურ სივრცეში შეკრების შესაძლებლობა. მათი 40% ამბობს, რომ არსებული სივრცე კომფორტული არ აღმოჩნდა.

აღნიშნული სივრცეები იყო თუ არა კომფორტული თქვენთვის



ონლაინ გამოკითხვის გარდა, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც 15-დან 26 წლამდე ასაკის 20 ახალგაზრდა მონაწილეობდა. შეკითხვაზე, რა ტიპის სივრცის შექმნას ისურვებდნენ გორში, ახალგაზრდებმა განაცხადეს:

„არსებობდეს ახალგაზრდული ცენტრი, სადაც მოეწყობა მოზარდებთან ხშირი შეხვედრები. ცენტრის თანამშრომლები მათ ინტერესებს შეისწავლიან და ამის გათვალისწინებით დაგეგმავენ ღონისძიებებს“.

„ბიბლიოთეკას, სადაც ბევრად უფრო კომფორტული სამკითხველო იქნება, ვიდრე ამჟამად. სასურველია იქვე იყოს მცირე კაფეტერიაც („ბიბლუს გალერეის“ მსგავსი).“

„ახალგაზრდული ცენტრის გახსნას, რომელშიც იქნება როგორც კომპიუტერები, ისე ინტერნეტი და კაფეტერია.“

„მშვიდი სივრცე, სადაც შეძლებენ მისვლას და მუშაობას, წიგნის კითხვას ან ყურსასმენით მუსიკის მოსმენას“.

„სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება“.

„სატრენინგო სივრცე კაფეტერიით და სრული კომპიუტერული აღჭურვილობით“.

გამოკითხვისა და ფოკუსჯგუფის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ გორის მუნიციპალიტეტში პრობლემაა:

- » ბიბლიოთეკების არსებული ფორმით დატოვება;
- » მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული სივრცის არარსებობა;
- » მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული ღონისძიებების ნაკლებობა;

მსგავსი მულტიფუნქციური სივრცის შექმნა შესაძლებელია იმ რესურსების მობილიზებით, რომლებიც ქალაქში არსებული 3 ბიბლიოთეკის შენახვას ხმარდება. კერძოდ, რეალურია შეიქმნას მრავალფუნქციური სივრცე, რომელიც ხელს შეუწყობს ნებისმიერი პროფესიისა თუ ინტერესის მქონე ადამიანთა კულტურულ განვითარებას; არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის გამოყენებით, სხვადასხვა სახის შემეცნებით და განმავითარებელ სერვისს მიაწვდის მათ.

ხედვის დოკუმენტის მიზანია, გორში არსებული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებით, ახალი, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თემის განვითარებაზე ორიენტირებული სივრცის შექმნა.

ხედვის დოკუმენტის მიზანია, გორში არსებული საბიბლიოთეკო რესურსის გამოყენებით, ახალი, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თემის განვითარებაზე ორიენტირებული სივრცის შექმნა.

უშუალოდ მედიათეკის მიზანია, ხელი შეუწყოს ნებისმიერი პროფესიისა თუ ინტერესის ადამიანთა კულტურულ-საგანმანათლებლო განვითარებას და არსებული ტექნიკური ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის გამოყენებით კონკრეტული სერვისები მიაწოდოს.

პრობლემის მოგვარების პრინციპები, მიმართულებები, რეკომენდაციები

იდენტიფიცირებული პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია, გაერთიანდეს გორში არსებული საბიბლიოთეკო რესურსი. ახალი მულტიფუნქციური სივრცის შექმნა შესაძლებელია რამდენიმე რეკომენდაციის გათვალისწინებით:

» რეკომენდაცია 1 - მედიათეკის კონცეფციის განსაზღვრა;

→ მედიათეკა უნდა იყოს მულტიფუნქციური სივრცე, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა პროექტის შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელება. მათ შორის: სოციალურ-კულტურული ღონისძიებების. ახალი თაობის დაინტერესება ნიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა. ასევე, ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის, რათა მედიათეკა კულტურულ კერად აღიქმებოდეს.

მედიათეკაში შესაძლებელია ისეთი აქტივობების მოწყობა, როგორებიცაა:

- » სეზონური სკოლების პროგრამა;
- » საკვირაო სკოლების პროგრამა;
- » მხატვრული კითხვის საათები;
- » საგანმანათლებლო სპექტაკლების პროგრამა;
- » მულტიპლიკაციური ფილმის ჩვენებები და დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე;

- » წიგნის პრეზენტაციები;
- » თანამედროვე ავტორებთან შეხვედრები;
- » ლიტერატურული ონლაინ ბლოგების ტრანსლირება;
- » საგანმანათლებლო ვიდეო-გაკვეთილების ციკლი;
- » დისკუსიები აქტუალურ უცხოენოვან სტატიებზე;
- » ლიტერატურული ანოტაციების პროგრამა;
- » საზოგადოებრივი შეხვედრების პროგრამა;
- » ურბანული ჯგუფების ინიციატივითა წახალისების პროგრამა;
- » ინტერაქტიული ელექტრონული პლატფორმის და ციფრული წიგნადი ფონდის შექმნა.

» **რეკომენდაცია 2 - მედიათეკის მართვის გადაცემა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის სააგენტოსთვის**

→ როგორც გორის 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტშია აღნიშნული, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 05 02 10) ქვეპროგრამას ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო ახორციელებს. შესაბამისად, მედიათეკა უნდა შეიქმნას არსებული ბიბლიოთეკების რესურსის გამოყენებით და ამაში ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოც ჩაერთოს.

→ **ახალი ა(ა)იპ-ის შექმნა ამ მიმართულებით მიზანშეწონილი არ არის.** საყურადღებოა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების აუდიტის ანგარიშის“ დოკუმენტის მე-10 რეკომენდაცია, სადაც ნათქვამია: „მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს, რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ-ში დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებისა და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზიც. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას“.

→ შეიცვალოს აღნიშნული ა(ა)იპ-ის წესდება და დოკუმენტში მედიათეკის მართვის ფორმები და ვალდებულებები განისაზღვროს.

→ გადამზადდნენ ა(ა)იპ-ის თანამშრომლები მედიათეკაში მუშაობისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

» **რეკომენდაცია 3 - შენობის მოძიება მედიათეკისთვის, სათანადოდ აღჭურვა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირება**

→ გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთარ ბალანსზე არსებული უძრავი ქონებიდან მოიძიოს შენობა, სადაც მედიათეკა განთავსდება და უზუფრუქტის წესით გადასცეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობისა და განვითარების სააგენტოს.

შენობის ფართობი უნდა იძლეოდეს მოქალაქეებისთვის შემდეგი სახის სერვისების მიწოდების საშუალებას:

სამკითხველო დარბაზით და წიგნადი ფონდით სარგებლობა;

ციფრული წიგნადი ფონდით სარგებლობა;

ჯგუფურად ან ინდივიდუალურად მუშაობა;

საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა;

სხვადასხვა საგანმანათლებლო შემეცნებით აქტივობებში მონაწილეობა;

საზოგადოებრივი შეხვედრების მოწყობა;

აუცილებელია, შენობა იყოს ადაპტირებული / მოხდეს მისი ადაპტირება და მისით სარგებლობა სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებსაც შეეძლოთ.

→ შენობის ინტერიერი მედიათეკით გათვალისწინებულ სერვისებს მოერგოს:

შეიქმნას ციფრული წიგნადი ფონდი;

მოეწყოს საბიბლიოთეკო სივრცე;

მოეწყოს საკონფერენციო დარბაზი;

მოეწყოს ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები;

მოენყოს სივრცე კინორევენებებისთვის;

მოენყოს კაფეტერია;

მოენყოს სივრცე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

» **რეკომენდაცია 4 - პარტნიორების მოძიება**

→ მედიათეკის გამართული და მრავალფეროვანი საქმიანობისთვის მოიძიონ პარტნიორები და ჩართონ ისინი მედიათეკის აქტივობებში. ეს შეიძლება იყოს:

თანამედროვე ავტორებთან თანამშრომლობა;

თანამედროვე კინორეჟისორებთან თანამშრომლობა;

გამომცემლობებსა და წიგნის მაღაზიებთან თანამშრომლობა;

საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

» **რეკომენდაცია 5 - მედიათეკის შეთავაზებათა პაკეტების და მათი გონივრული ტარიფების განსაზღვრა**

→ მედიათეკას საშუალება ექნება, განსაზღვროს შეთავაზების პაკეტები, სანვერო პაკეტები და პირობები მათი გამოყენებისთვის, მათ შორის, გონივრული ტარიფები. ეს საშუალებას მისცემს დაწესებულებას, არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ საბიუჯეტო დაფინანსებაზე, ჰქონდეს საკუთარი შემოსავლები და აღნიშნული თანხები სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესებისკენ მიმართოს.

» **რეკომენდაცია 6 - ვებგვერდის შექმნა და ცნობადობის გაზრდა**

→ შეიქმნას მედიათეკის ვებგვერდი, სადაც განთავსდება ინფორმაცია მედიათეკის კონცეფციის, სერვისების, დაგეგმილი ღონისძიებების, მიმდინარე პროექტების, პარტნიორების და მედიათეკასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

ვებგვერდის საშუალებით ვიზიტორები შეძლებენ, ისარგებლონ გაციფრულებული წიგნადი ფონდით, ონლაინ რეჟიმში დაჯავშნონ ვიზიტი ან ღონისძიების ჩატარების დრო/სივრცე მედიათეკაში.

ქვეპროგრამების შესაბამისი კონკრეტული ღონისძიებები. ისინი კონკრეტულ და დეტალურ ქმედებებს უნდა აღწერდეს. კერძოდ, თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის შედეგისთვის საჭირო ღონისძიებებს; განისაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

→ ქვეპროგრამის - „ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 04 05 01) და „მედიათეკების განვითარების ხელშეწყობა“ (პროგრამული კოდი 04 05 02) ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების, მისაღები შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს შესაბამისი საბიუჯეტო წლების ბიუჯეტებსა და პროგრამულ დანართებში, მათ შორის, უშუალოდ 2021 წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების, სასურველი შედეგების და მათი შეფასების ინდიკატორების შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს 2021 წლის გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტსა და მის პროგრამულ დანართში.

შედეგების შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები

არსებული ბიბლიოთეკების რესურსის გამოყენებით შეიქმნება ახალი, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული და თემის განვითარებაზე ორიენტირებული სივრცე.

მედიათეკა იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს თანამედროვე და კლასიკურ, ქართულ და უცხოენოვან, მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურის მდიდარ არჩევანს (როგორც ციფრული, ისე ბეჭდური სახით), მშვიდ სამუშაო გარემოს, კომპიუტერულ მომსახურებას, სახელოვნებო თუ სამეცნიერო ღონისძიებათა ფართო სპექტრს და საქმიანი და შემოქმედებითი შეხვედრების სივრცეს.

მედიათეკის, ანუ მულტიფუნქციური სივრცის შექმნით, სტანდარტული სერვისების გარდა (ბიბლიოთეკა, სამუშაო სივრცე, წიგნის პრეზენტაციები), მოქალაქეებს შეეძლებათ ისარგებლონ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამებით, აქტიური კულტურული პლატფორმით, გაციფრულებული წიგნადი ფონდით და ქმედითი ტექნიკური ინფრასტრუქტურით, რაც ნაახალისებს მოქალაქეებს და

ახალ წევრებს მოიზიდავს. **მედიათეკის შექმნას მოჰყვება (ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგები):**

- » სოციალურ-კულტურული ცხოვრების განვითარება;
- » ახალი თაობის დაინტერესება წიგნით;
- » საზოგადოების განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციის გავრცელება;
- » საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება საზოგადოების ყველა წევრისთვის;
- » ციფრული წიგნადი ფონდის და აქტიური ელექტრონული პლატფორმის შექმნა;
- » სექტორებს/ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

მთლიანობაში, კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებზე ორიენტირებული სივრცის შექმნა ხელს შეუწყობს საზოგადოების განვითარებას, დაახლოებასა და ახალ იდეების წარმოშობას.

ზემოაღნიშნული შედეგების შეფასება შესაძლებელია შემდეგი ინდიკატორებით:

- » მედიათეკაში რეგისტრირებულ მოქალაქეთა რაოდენობა (გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში) და მათი ცვლილების მაჩვენებელი;
- » სერვისებით მოსარგებლე პირების/ორგანიზაციების ოდენობა და ცვლილების მაჩვენებელი;
- » საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ცვლილების მაჩვენებელი;
- » ელექტრონული პლატფორმის ვიზიტორთა რაოდენობა (გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში) და ცვლილების მაჩვენებელი;
- » მედიათეკით მოსარგებლე პირთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
- » სპეციალური საჭიროების მქონე პირთა ჩართულობისა და მისი ცვლილების მაჩვენებელი;

პროექტის „რეგიონების უზრუნველყოფა ინფორმაციით და ამომრჩეველთა გაძლიერება დემოკრატიისთვის“ მონაწილეებმა აღნიშნული საკითხების ეფექტიანი ადვოკატირებისათვის შესაბამისი სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს, რომელიც მოიცავს პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვა რელევანტური უწყებების წარმომადგენლებთან შეხვედრებს დიალოგის ფორმატში, პრეზენტაციებს, თემატურ დისკუსიებსა და სხვა აქტივობებს დოკუმენტში წამოჭრილი საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად და საზოგადოებაში პოპულარიზაციის ხელშესაწყობად.

**აღმოსავლეთ ევროპის
ცენტრი მრავალპარტიული
დემოკრატიისათვის (EECMD)**

შარაშიძის 7
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 291 56 50/51
ელ.ფოსტა: contact@eecmd.org

EECMD.ORG

